ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1332563

ნომერი: AR1229377

თარიღი : 16.06.2014

გაცემის თარიღი : 23.06.2014

გაცნობის თარიღი : 24.06.2014

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ვაჟა-ფშაველას გამზ. 6კვ, კორ 5ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გავაშელი პ/ნ 01009001610
- ვ. ფშაველას გამზ. # 47

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1229377 16.06.2014 წ. განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, კორპუსი #5ბ-ს მიმდებარედ წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად ღია საზაფხულო კაფის მოსაწყობად წერილობით ნებართვის გაცემას, გაცნობებთ შემდეგს:
თქვენ მიერ ღია სეზონური კაფეს მოწყობა იგეგმება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაში თუ ღია კაფეს განსათავსებელი ფართობი აღემატება 6 კვ.მ, დამატებით წარმოსადგენია თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი; შესაბამისად 6 კვ.მ –ის გადაჭარბების შემთხვევაში სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთი თვის განმავლობაში თქვენს მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია; მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში.
,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით, გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, კორპუსი #5ბ-ს მიმდებარედ ღია საზაფხულო კაფის მოსაწყობად სამი თვის ვადით, თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.